

საიდ. №76002/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №21-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ლ. ახოზაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სითი საიტსინგ ელტედე“ (City Sigtseeng Ltd) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №21-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1544/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „CitySightseeing Worldwide“ (საიდ. №76002/03) დარეგისტრირება მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (39-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის №1544/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „CitySightseeing Worldwide“ + გამოსახულება რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია შპს „ჰოპ ონ ჰოპ ოფ თბილისის“ (მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. N33, ბინა N1, თბილისი, საქართველო) სახელზე 39-ე კლასის მსგავსი მომსახურებისათვის საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა "City Sightseeing" (რეგ. №25336, რეგისტრაციის თარიღი: 2014-10-29). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და შეიცავენ ერთი და იგივე სიტყვიერ ნაწილს „CitySightseeing“, ხოლო განცხადებულ ნიშანში დამატებით სიტყვის „Worldwide“ და გამოსახულების არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის საკმაო განმასხვავებლობას, რადგან ძირითადი აქცენტი კეთდება ნიშნებს შორის საერთო სიტყვიერ ელემენტებზე. რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „სითი საიტსინგ ელტედე“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და გამორიცხულია, მომხმარებელს ეს ორი ნიშანი აერიოს ერთმანეთში. შესაბამისად,

არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ერთმანეთისგან განსხვავდება, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ჩანაწერს, სტილიზებულ ჩანაწერს და სტილიზებულ გამოსახულებას მაშინ, როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს მხოლოდ სიტყვიერ ჩანაწერს და ისიც არასტილიზებული ფორმით. ნიშნებს შორის ერთადერთი მსგავსებაა სიტყვიერი ჩანაწერი, თუმცა განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ჩანაწერიც კი საკმარისად განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისგან, რადგან იგი შეიცავს დამატებით ერთ მთლიან სიტყვას “Worldwide”. აპელანტის პოზიციით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ განმცხადებელი განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს 39-ე კლასში შემავალი მომსახურების მიმართ, კერძოდ: „ტრანსპორტირება; საქონლის შეფუთვა და შენახვა; მოგზაურობის ორგანიზება“. აღნიშნული წარმოადგენს მომსახურებისა და საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელშიც მომხმარებელი სასაქონლო ნიშანს აღიქვამს და იმახსოვრებს არა იმდენად მისი სიტყვიერი ნაწილით, არამედ უფრო მეტად ვიზუალური და სტილიზებული ფორმით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებელი წარმოადგენს საერთაშორისო ბრენდ-კომპანიას, რომელიც ოპერირებს მსოფლიოს მასშტაბით 30-ზე მეტ ქვეყანაში და ახორციელებს საქმიანობას 100-ზე მეტ ქალაქში. განმცხადებელი ემსახურება ტურისტებს, კერძოდ უკეთებს ორგანიზებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებისა და ქალაქების ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას. ტურისტებს ემსახურება ბრენდირებული ავტობუსები, რომლებიც გაფორმებულია სწორედ იმ ფერებით, რა ფერებშიც წარმოადგენილია განცხადებული სასაქონლო ნიშანი, კერძოდ: წითელი, თეთრი, შავი, ღია ლურჯი, მწვანე, ყვითელი, იასამნისფერი. განმცხადებელი ასევე იყენებს სიტყვიერ ჩანაწერს „City Sightseeing“ სტილიზირებული ფორმით. ამგვარად, მომხმარებელის მიერ ბრენდის ცნობადობა განპირობებულია უპირატესად სპეციფიკური ფერებით

და სტილიზებული გამოსახულებებით, მათ შორის სტილიზებული სიტყვიერი ნიშნით. აპელანტის მითითებით, მნიშვნელოვანია ასევე, ის გარემოება, რომ სიტყვათა წყობა „City Sightseeing“ ქართულ ენაზე აღნიშნავს „ქალაქის ღირშესანიშნავი ადგილების დათვალიერებას“, რაც იმთავითვე მიუთითებს მომსახურების შინაარსზე, კერძოდ, მომსახურებაზე, რომელიც უკავშირდება მოგზაურობის ორგანიზებასა და ტრანსპორტირებას. ამგვარად, „City Sightseeing“ არის არა ფანტაზიური არამედ, უპირატესად აღწერილობითი სიტყვათა წყობა 39-ე კლასში შემავალი მომსახურების მიმართ. შესაბამისად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც უპირატესად მომსახურების აღწერილობითი სიტყვათა წყობა, არ უნდა ექცეოდეს მკაცრი დაცვის ქვეშ და ამ ნიშანთან მსგავსება არ უნდა იყოს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ამგვარად, განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება და შეუძლებელია ამ ორი ნიშნის თანაარსებობამ შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ N1544/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „CitySightseeing Worldwide“ (საიდ. N76002/03) დარეგისტრირებას მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „CitySightseeing Worldwide” (საიდ. №76002/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „City Sightseeing“ (რეგ. №25336) აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ ნაწილთან ერთად შეიცავს ასევე, გამოსახულებას. განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი სტილიზებულად დატანილია წითელ მართკუთხედზე დედამიწის გამოსახულებასთან ერთად. კოლეგიის აზრით, აღნიშნული გამოსახულება ნიშანს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას, რადგან განცხადებულ ნიშანში, დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „CitySightseeing“, იგი ჩაწერილია ნიშნის მეორე სიტყვიერ აღნიშვნასთან „Worldwide“ შედარებით უფრო დიდი ასოებით და სწორედ მასზე მოდის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა, შესაბამისად განცხადებული ნიშნის სიტყვიერ ნაწილში ერთი დამატებითი სიტყვის „Worldwide“ არსებობა ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს „City Sightseeing“ და იგი მთლიანად შედის განცხადებულ სასაქონლო ნიშანში. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების დომინანტ ელემენტებს წამოადგენს მათი სიტყვიერი ნაწილი „City Sightseeing“, რაც ორივე ნიშანს აღრევამდე მსგავსი აქვს.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „სითი საიტსინგ ვორლდვაიდ“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „სითი საიტსინგ“.

ორივე ნიშანში არსებული სიტყვა „City Sightseeing“ ინგლისური ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „ქალაქის ღირსშესანიშნაობები“. შესაბამისად, ორივე ნიშანი ერთი და იმავე შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელია.

იდენტურია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის 39-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი, რადგან ორივე ნიშნის მომსახურება უკავშირდება ტრანსპორტირებას, მოგზაურობას, საქონლის შეფუთვისა და შენახვას. ნიშნები მსგავსია ასევე, იმ საერთო შთაბეჭდილებით, რასაც ისინი ახდენენ მომხმარებელზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „CitySightseeing Worldwide“ (საიდ. №76002/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სითი საითსინგ ელტედე“ (City Sigtseeng Ltd) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული

აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 დეკემბრის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №1544/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

ს. ებრალიძე